# ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გირგვლიანის სასამართლო პროცესის მონიტორინგს განახორციელებს

ხვალ, 27 ივნისს, საქალაქო სასამართლოში სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განახორციელებს დამოუკიდებელ მონიტორინგს სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. საიას იურისტები სასამართლო პროცესებს დაესწრებიან და სპეციალურ სამართლებრივ

დასკვნას გააკეთებენ.

როგორც საიას თავმჯდომარე ანა დოლიძე აცხადებს: [redacted] ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესებს სისტემატურად დაესწრებიან და საზოგადოებას პროცესის მიმდინარეობის ობიექტურ სურათს გააცნობენ.”